ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29.292133710**
თარიღი:**03/12/2021**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 30–ე, 38-ე მუხლებისა და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N7 დადგენილების 35-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, სამანდატო დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის N 2 დასკვნის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. ცნობად იქნას მიღებული სამანდატო დროებითი კომისიის 2021 წლის 3 დეკემბრის N2 დასკვნა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების შესახებ და ფრაქცია გატარდეს რეგისტრაციაში.

მუხლი 2. განკარგულება ჩაბარდეს კახა ბუცხრიკიძეს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმომწერისთანავე.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM